განკარგულება:**g-31.31222421**
თარიღი:**30/08/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №48
2022 წლის 29 აგვისტო
ქ. ლანჩხუთი
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ ,,ოდა-ქეარისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მეოთხე და მეხუთე ნაწილებისა და ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

მუხლი1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, (ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N37-ში მდებარე 27.06.52.141 საკადასტრო კოდზე არსებული მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე მდებარე: N8 – 47.00 კვ.მ; N9 – 51,90 კვ.მ; N10 – 12,23 კვმ; N11 – 16,03 კვ.მ; N12 – 18,92 კვ.მ; N13 – 12,21 კვ.მ; N14- 13,36 კვ.მ; N15 – 5,50 კვ.მ; N16 – 6,71 კვ.მ; N17 – 13,05 კვ.მ; N26- 18,25 კვ.მ; და N27 - 26,59 კვ.მ; ფართობები. ჯამში საერთო ფართით - 241,75 კვ.მ.) გადასცეს ა(ა)იპ ,,ოდა-ქეარს“ (ს/კ 437373156) პირდაპირი განკარგვის წესით, 2 წლის ვადით, უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს „ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი